EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

დამტკიცებულია:
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის
2019 წლის 15 მარტის №17/01 08 ბრძანებით

თავი I

რეგულირების სფერო და ტერმინთა განმარტება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდეგში – უნივერსიტეტის) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს;
2. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. აფილირება - წინამდებარე წესის მიზნებისათვის, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის ფორმდება შეთანხმება (აფილირების შეთანხმება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში
    - ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;
    - აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
    - აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება;
3. აფილირების შეთანხმება – შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

თავი II

აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

მუხლი 3. აფილირების პროცედურა

აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი აფილირების შეთანხმების დადებით ადასტურებს უნივერსიტეტთან აფილირებას.

მუხლი 4. აფილირების პირობები

1. აფილირება არის ნებაყოფილობითი. უნივერსიტეტში აფილირებული შეიძლება იყოს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც აფილირების შეთანხმებით დაადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება და ასრულებს ქვემოთ მითითებულ პირობებს:
   ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარების, ცოდნის მიწოდებისა და გაზიარების პროცესებში;
   ბ) უნივერსიტეტის სახელით ახორციელებს საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, რომლის კვლევის შედეგები წარმოადგენს უნივერსიტეტს;
   გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
   დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
2. უნივერსიტეტში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ იგი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 5. აფილირებული აკადემიური პირების მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულებები

1. ფაკულტეტის წარდგინებისა და რექტორის თანხმობის შემთხვევაში უნივერსიტეტი აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ):
   ა) აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალას და გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიას/პუბლიკაციას;
   ბ)აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს;
   გ) უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში აფილირებული პირის მიერ მომზადებული სტუდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, შესაბამის ხარჯებს; დ) აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას (რომლის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს).
2. უნივერსიტეტი აფილირებული პერსონალის მიმართ იყენებს წახალისების მექანიზმებს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემის შესაბამისად (დანართი 2).

3. ამ წესით განსაზღვრული აფილირებული აკადემიური პერსონალის დაფინანსების ოდენობა (სრული/ნაწილობრივი) და წახალისების სახე განისაზღვრება ფაკულტეტის დეკანის/ უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის/ სამეცნიერო საკითხებში ვიცე-რექტორის წარგინებისის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის მიერ პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემის შესაბამისად.

მუხლი 6. აფილირების ვადა

აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების ვადით.

მუხლი 7. აფილირების გაუქმება

1. აფილირების გაუქმების საფუძველია:
   ა) აფილირებული პირის წერილობითი განცხადება აფილირების გაუქმების შესახებ;
   ბ)შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა;
   გ) აფილირების შეთანხმების დადება სხვა უსდ-სთან;
   დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას.
2. აფილირების გაუქმება არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას.

თავიIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 8.

1. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
2. წინამდებარე წესში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

დანართი:

1. შეთანხმება აფილირების შესახებ - დანართი №1.
2. აფილირებული პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი დატვირთების ანაზღაურების სქემა - დანართი №1.

<u>დანართი № 1</u>

შეთანხმება აფილირების შესახებ

მე _____ პ/ნ _____, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, ვაცხადებ თანხმობას აფელირებული ვიყო შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს აეუ-ს. გავეცანი აეუ-ს აფილირების წესს. სხვა უსდ-სთან აფილირების შემთხვევაში ვიღებ ვალდებულებას წინასწარ 2 თვით ადრე შევატყობინო აეუ-ს და თანახმა ვარ შემიწყდეს აეუ-სთან გაფორმებული შეთანხმება აფილირების შესახებ.

ხელმოწერა: _____

თარიღი:_____

დანართი №2

აფილირებული პერსონალის სამეცნიერო–კვლევითი დატვირთვების ანაზღაურების სქემა

№	კომპონენტები	სემესტრული დატვირთვა (საათი)	მინიმალური და მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა	ანაზღაურება საშემოსავლო გადასახადების გარეშე (ლარი)
1	**მონოგრაფია**			**1 ნაშრომი**
1.1.	მონოგრაფიის მომზადება და გამოსაცემად წარდგენა*	200	არაუმეტეს 800 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში;	1600
1.2.	მონოგრაფიის თარგმნა და გამოსაცემად წარდგენა*	200	არაუმეტეს 800 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში; (დაახლოებით დედნის 60000 სიტყვა)	800
1.3.	მონოგრაფიის რეცენზირება	15	1 ნაშრომისათვის	200
1.4.	მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტირება	25	არაუმეტეს 200 საათისა წლის განმავლობაში (დაახლოებით დედნის 60000 სიტყვა)	400
2	**სახელმძღვანელო**			
2.1.	მომზადება და გამოსაცემად წარდგენა *	165	არაუმეტეს 660 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში;	1200
2.2.	თარგმანა და გამოსაცემად წარდგენა*	200	არაუმეტეს 800 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში;	1500
2.3.	სამეცნიერო რედაქტირება	25	არაუმეტეს 200 საათისა წლის განმავლობაში (დაახლოებით დედნის 60000 სიტყვა)	400

2.4.	რეცენზირება	15	არაუმეტეს 75 საათისა წლის განმავლოაბში (100 გვ. x 15 სთ)	200
2.5.	შევსება–განახლება და გამოსაცემად წარდგენა	85	არაუმეტეს 340 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში;	600
2.6.	სასწავლო მეთოდური ნაშრომის შექმნა*	60	არაუმეტეს 240 საათისა 4 სემესტრის განმავლობაში;	250
3	**სამეცნიერო სტატია**			
3.1.	მომზადება და გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალში	80	1 სტატია x 80სთ.	250
3.2.	მომზადება და გამოქვეყნება ადგილობრივ რეცენზირებად ჟურნალში (EEU და რეიტინგული)	60	1 სტატია x 60სთ.	130
3.3.	რეცენზირება (საერთაშორისო)	10	1 სტატია x 10სთ.	
3.4.	რეცენზირება (EEU-ს ჟურნალში)	6	1 სტატია x 6სთ.	100
3.5.	რედაქტირება (საერთაშორისო)	20	1 სტატია x 20სთ.	
3.6.	რედაქტირება (ადგილობრივი)	15	1 სტატია x 15სთ.	
4	**საგრანტო პროექტი**			
4.1.	საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა /მომზადება წარსადგენად	80	160 საათი x 2 სემესტრზე	დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
4.2.	საგრანტო პროექტში მონაწილეობა მომზადება/წარსადგენად	24	48 საათიx2 სემესტრზე	დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
4.3.	პროექტის განხორციელება	330–660	10-15 საათი კვირაში	დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით

5	**საპატენტო–სალიცენზიო საქმიანობა**			
5.1.	გამოგონება	180		დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით/სპეციალური ადმინისტრაციული მხარდაჭერა
5.2.	მოდელის/ნიმუშის დაპატენტება	75		დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით/სპეციალური ადმინისტრაციული მხარდაჭერა
6	**ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია, სიმპოზიუმი**			
6.1.	კონფერენციაზე შეფასების კომისიის წევრობა/მოდერატორობა	6		200
6.2.	კონფერენციის ხელმძღვანელობა	50-75		დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
6.3.	ნაშრომთა კრებულის რედაქტორობა	50	1 კონფერენციის ფარგლებში	250
6.4.	მოხსენების მომზადება და წარდგენა	10	1 კონფერენციის ფარგლებში	დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
6.5.	სტუდენტის ხელმძღვანელობა სტატიის მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად(1–5 სტუდენტი წლის განმავლობაში)	15–35	1–5 სტუდენტი	50
7	**საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სიმპოზიუმი**			
7.1.	კონფერენციაზე შეფასების კომისიის წევრობა/მოდერატორობა	6		300

7.2.	კონფერენციის ხელმძღვანელობა	50-75		დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
7.3.	ნაშრომთა კრებულის რედაქტორობა	50	1 კონფერენციის ფარგლებში	300
7.4.	მოხსენების მომზადება და წარდგენა	20	1 კონფერენციის ფარგლებში	დაფინანსება კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესით
7.5.	სტუდენტის ხელმძრვანელობა სტატიის მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად (1-3 სტუდენტი წლის განმავლობაში)	20–45	1 სტუდენტი	80
8	სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა/სარედაქციო საქმიანობა	20–40	1 სტატია	100
9	**სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომები**			
9.1.	სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება	30–50	1 ნაშრომისათვის	200
9.2.	სადოქტორო სემინარის დაცვის წევრობა	15	1 ნაშრომისათვის	100
9.3.	სადისერტაციო კოლეგიის წევრობა	20	1 სადისერტაციო ნაშრომი	100
9.4.	სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრობა	15–20	1 კომისიის ფარგლებში	50

* *ლიტერატურის გამოცემისთვის საჭირო სამუშაოებს და შესაბამის დაფინანსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი (დაკაბადონება, დიზაინი და ა.შ.)*